



მენორა

გამოდის
1993 წლის
მარტიდან

ღამოუკიდებელი ებრაული ბაზეთი საქართველოში

„MENORA“ INDEPENDENT JEWISH NEWSPAPER IN GEORGIA

מנורה

„МЕНОРА“ НЕЗАВИСИМАЯ ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА В ГРУЗИИ

მაისი
(0190)
15-31
№10 (343)
(5771)
2011

„מנורה“

עיתון יהודי

בגורגיה

ღღაღს ზოგაიგუი:


„საქართველოს სიყვარულით“

II გვ.



ებრაელები ბარაკ ობამას აფრთხილებენ...

ნეთანიაჟუ – ჭაბაყ ჯუსეინ ოჭაძას: „აბა!“




26 მაისი – 2 ივნისი – შოთა რუსთაველის –
ქართული პოეზიის კვირეული ისრაელში

საქართველოს ელჩი ისრაელში ვახტანგ ჯაოძვილი
მიიხსენებს, როდ...

III გვ.



პროფესორი ვიულო
ებრაისტის კონსტანტინე



აღასანია დიდი ქართველი
ნერეთლის თაობაზე

IV-V გვ.



ზერესის მშვიდობის ცენტრი და გაბრიელ
მირილაშვილის იუბილე



VI გვ.

არეელ ლევინი ძველი აღთქმის საკვირაო თავს განმარტავს

VII გვ.

თეატრული ფორმების ევოლუციური კონსერვაცია
და ბანკ-მისია
ქართულ-ებრაული სასაუბრო

VIII გვ.



ისრაელის დამოუკიდებლობის დღე თბილისში

17 მაისს ისრაელის საელჩომ თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახ. სახელმწიფო კონსერვატორიაში ისრაელის სახელმწიფოს დამოუკიდებლობის 63-ე წლისთავის აღსანიშნავი საღამო გამართა. საღამო საქართველოში ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა იცხაკ გერბერმა გახსნა.

იცხაკ გერბერი: დღეს ჩვენ აქ ისრაელის დამოუკიდებლობის 63-ე წლისთავს აღვნიშნავთ. ისრაელი აღმავალი სახელმწიფოა. მისი დაბადების მონიშნა მუდმივია და იგი პოლოკოსტის ფერფლიდან ორიათასწლოვანი დევნის შემდეგ ხელახლა დაიბადა. ჩამოყალიბდა როგორც დამოუკიდებელი, თავისუფალი და თანამედროვე, მაღალ ტექნოლოგიებზე ორიენტირებული სახელმწიფო. სამწუხაროდ, ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე მოვლენების გამო, ეროვნული დამოუკიდებლობა კვლავაც ჩვენი საზრუნავია. ისრაელსა და საქართველოს ხალხს ღრმა და მტკიცე მეგობრული ურთიერთობა აკავშირებს, რომელიც ორიათას წელს ითვლის და ორ ქვეყანას შორის საუკეთესო ორმხრივ ურთიერთობებში გამოიხატება.

დღევანდელ საღამოს ჩვენ უნდა ვისაიმოვნოთ მსოფლიოში ცნობილი სოპრანოს სივან როტემის მშვენიერი ხმით. მას საქართველოსთან განსაკუთრებული ურთიერთობა აკავშირებს, რადგან მისი მამა საქართველოშია დაბადებული. მასთან ერთად თქვენს წინაშე წარსდგება თბილისის ოპერისა და ბალეტის სიმფონიური ორკესტრი რევაზ ტაკიძის დირიჟორობით. საღამოს მეორე ნაწილში კი გაიმართება საქორნილო კაბეტის ჩვენება. სასიამოვნო საღამოს გისურვებთ!

შემდეგ გაიმართა კონცერტი, რომელზეც მსოფლიოში ცნობილმა ებრაელმა საოპერო მომღერალმა სივან როტემმა შეასრულა ნაწყვეტები განთქმული კომპოზიტორების ნაწარმოებებიდან. თბილისის ოპერისა და ბალეტის სიმფონიური ორკესტრს კი რევაზ ტაკიძე დირიჟორობდა.

საღამო დასრულდა საქორნილო კაბეტის ჩვენებით, რომლებიც ერთ-ერთმა ისრაელურმა ბრენდმა წარმოადგინა და ამით საქართველოში თავისი ფილიალის გახსნა აღნიშნა.

ბარაკ ობამა გააფრთხილეს!

Wall Street Journal: ებრაელი სპონსორები ბარაკ ობამას

მოუწოდებენ თავი დაანებოს ისრაელს

აშშ-ს პრეზიდენტი ბარაკ ობამა გააფრთხილეს, რომ მას 2012 წლის არჩევნებში შეიძლება გაუჩნდეს სერიოზული ფინანსური პრობლემები, თუ არ შეწყვეტს ისრაელზე ზეწოლას. ამაზე წერს Newsru.co.il, „Wall Street Journal“-ზე დაყრდნობით.

აშშ-ში ებრაელები ტრადიციულად დემოკრატიული პარტიის მხარდამჭერად და დამფინანსებლად მიიჩნევიან. ამ პარტიის პოლიტიკოსები ხშირად ღებულობენ ებრაელების შემოწირულობებს. ჟურნალს მოჰყავს შემოწირულობათა შეგროვების დიდი პარტიული სპეციალისტის მაიკლ ადლერის საუბარი ობამას წინასაარჩევნო შტაბის ხელმძღვანელთან — ჯიმ მესინთან. აქ ითქვა, რომ ობამას ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკა ძალიან სუსტი წერტილია არჩევნების მომზადების გზაზე.

ამის გამო ობამამ ებრაულ ორგანიზაციებთან მოსალაპარაკებლად ებრაელი მილიარდერი ქალი პენი პრიცკერი გაგზავნა. ობამა ამ ქალბატონს ვაჭრობის მინისტრობას უპირებდა. დანაპირები არ შესრულდა.

ბინიამინ ნეთანიაჰუს და ბარაკ ობამას შეხვედრა

20 მაისს ვაშინგტონში გაიმართა ისრაელის პრემიერ-მინისტრის ბინიამინ ნეთანიაჰუსა და აშშ-ს პრეზიდენტის ბარაკ ობამას შეხვედრა. ეს შეხვედრა, ნაცვლად პროტოკოლით გათვალისწინებული 40 წუთისა 2 საათს გაგრძელდა.

ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ობამას მოსთხოვა მხარი დაუჭიროს მოლაპარაკებების ფორმატს, რომელზეც ისრაელ-პალესტინის კონფლიქტთან დაკავშირებული ყველა საკვანძო საკითხი ერთდროულად განიხილება და არა ცალ-ცალკე, როგორც ამას აშშ-ს პრეზიდენტი სთავაზობდა.

ლიდერების შეხვედრამ ექსცესების გარეშე ჩაიარა. ნეთანიაჰუ და ობამა ხუმრობდნენ და ბავშვებზეც კი ისაუბრეს.

შეხვედრის დასრულების შემდეგ პრესკონფერენციაზე აშშ-ს პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ეს შეხვედრა ისრაელსა და პალესტინას შორის მშვიდობის მიღწევის გზების ძიებას მიეძღვნა. აღნიშნა, რომ ისრაელს უსაფრთხოების, პალესტინელებს კი სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის სრული უფლება აქვთ. და დასძინა, რომ მხარეები ვერ შეთანხმდნენ ამ მიზნის მიღწევის საშუალებებზე.

აშშ-ს პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა იმას, რომ „ჰამასს“ სამშვიდობო მოლაპარაკებებზე პარტნიორის სახით გამოსვლა არ შეუძლია, — იგი ტერორისტული ორგანიზაციაა. მისი თქმით, პალესტინის ავტონომიის ხელმძღვანელობას მოუწევს იმის განმარტება, თუ როგორ აპირებს მოლაპარაკებას სახელმწიფოსთან, რომელსაც არ აღიარებს.

ისრაელის პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ ისრაელი იზიარებს რე-

მიხეილ სააკაშვილის ვიდეომიმართვა

გუშინ იერუსალიმში გაიმართა ქართული ხელფანების ოსტატთა დიდი კონცერტი, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს — 26 მაისს მიეძღვნა. კონცერტში მონაწილეობდნენ: ლელა წურჭუბია, ნინო ჩხეიძე, მერაბ სეფაშვილი, გიორგი უშიკიშვილი, ნეკა სეფისკვერაძე და ქართული ესტრადის სხვა ჩინებული წარმომადგენლები.



საღამოზე აჩვენეს საქართველოს ჰრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ვიდეომიმართვა, რომელშიც ჰრეზიდენტი საუბრობს საქართველოს ბოლო წლების მიღწევებზე, საქართველო-ისრაელის კეთილ ურთიერთობაზე, გამოჰყოფს იმ დადებით ტენდენციებს, რაც ბოლო წლებში ამ ორი ქვეყნის ურთიერთობაში თვალნათლივ ჩანს.

გიონის დემოკრატიზაციის თაობაზე ობამას ოცნებას და სამშვიდობო პროცესის წინ წასწინვად მის მცდელობას მაღალ შეფასებას აძლევს.

„ისრაელი, მყარი მშვიდობისკენ მიისწრაფვის, რადგან არარეალურ საფუძველზე აგებული მშვიდობა დაიმსხვრევა. „პალესტინელებმა უნდა შეიგნონ, რომ ისრაელი დათმობებზე წასასვლელად მზადაა, მაგრამ უკანასკნელი 44 წლის მანძილზე მომხდარი ცვლილებების გამო 1967 წლის საზღვრებს არ დაუბრუნდება“ — განაცხადა ისრაელის პრემიერ-მინისტრმა.

„რაც შეეხება ჰამასს, ისრაელს არ შეუძლია მოლაპარაკებები გამართოს მათთან, ვინც მისი არსებობის უფლებას არ ცნობს და აშშ-ს ბინ ლადენის ლიკვიდაციის გამო კიცხავს. ამიტომ მაშინვე აბასმა უნდა გადაწყვიტოს ვისთან დაზავდეს — ჰამასთან თუ ისრაელთან“.

ნეთანიაჰუმ აღნიშნა, რომ ისრაელის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, მდინარე იორდანეს სანაპიროს გასწვრივ „ცაჰალის“ დატოვება აუცილებელია. ამასთან, ისრაელის პრემიერ-მინისტრის განცხადებით,



პალესტინელი ლტოლვილების საკითხი პალესტინის სახელმწიფოს საზღვრებში უნდა გადაწყდეს. ისრაელის მთავრობის მეთაურმა ობამას შეახსენა, რომ 1948 წლის შემდეგ ისრაელმა არაბული ქვეყნებიდან მილიონი დევნილი მიიღო, მაშინ როდესაც არაბული ქვეყნები პალესტინელი ლტოლვილების მიღებაზე უარს აცხადებენ.

„მე იმ ხალხის ლიდერი ვარ, რომელსაც ათასწლეულების მანძილზე დევნიდნენ და რომელიც საკუთარ თავს შეცდომის დაშვების უფლებას არ მისცემს.“ — განაცხადა ნეთანიაჰუმ.

ამასთან, შეხვედრის წინ ისრაელის ლიდერმა ობამას მიერ წინა დღის განცხადებაზე მკვეთრი რეაგირება მოახდინა. მან განაცხადა, რომ ხანდახან საჭიროა იყო არა მხოლოდ ჭკვიანი, არამედ სამართლიანიც და აღნიშნა, რომ არც არსებულ პრობლემებზე თვალის დახუჭვას აპირებს და არც „ხალიჩის ქვეშ ნავის დამალვას“.

ნეთანიაჰუს გარემოცვის აზრით, ისრაელის პრემიერს განზრახული აქვს აშშ-ს პრეზიდენტს აქამდე მიღწეული შეთანხმებების დადასტურება მოსთხოვოს, რომელთა თანახმადაც თეთრი სახლი ისრაელს არ მოსთხოვს 1967 წლის საზღვრებში დაბრუნებას, რადგან მათი დაცვა შეუძლებელია. გარდა ამისა, ისრაელის ლიდერი მოითხოვს პალესტინელი დევნილების ისრაელში დაბრუნების საკითხი დღის წესრიგიდან მოიხსნას.

ჟურნალისტები აღნიშნავენ, რომ ნეთანიაჰუს მკაცრი პოზიცია გარკვეულწილად ისრაელის მოქალაქეების საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგებმაც განაპირობა.

„New York Times“-ი იტყობინება: ობამამ თავის თანაშემწეებს განუცხადა, რომ ნეთანიაჰუსგან მნიშვნელოვანი მსხვერპლის გაღებას არ ელის. გაზეთი იმასაც იტყობინება, რომ ობამას გამოსვლის თაობაზე, ჰილარი კლინტონსა და ნეთანიაჰუს შორის მწვავე კამათი გაიმართა.

საქართველოს საელჩო: „არაპოლიტიკური კავშირი ვალსა და დაპატიმრებას შორის“



ტანი გოლდმეტენი
„ნეტ“
17.05.2011

ისრაელის მოქალაქეები ბოიკოტს უცხადებენ საქართველოს, თუმცა საქართველო მშვიდად ხვდება ამ ამბავს. შაიფისა და ჩრდილო რეგიონის სავაჭრო-სამრეწველო პალატამ, ჩრდილო რეგიონის ბიზნესის წარმომადგენელმა ორგანიზაციამ, მიმდინარე წლის 16 მაისს გამოაქვეყნა ბოიკოტის შინაარსის განცხადება. პალატამ ისრაელელ ბიზნესმენებს ურჩია არ დაიწყონ ბიზნეს საქმიანობა საქართველოში და იმავდროულად თხოვნით მიმართა ისრაელის ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს, რათა ამ უკანასკნელმა გააფრთხილოს ისრაელელი ბიზნესმენები საქართველოში ბიზნესის კეთებისაგან თავის შეკავების თაობაზე.

სავაჭრო-სამრეწველო პალატამ შემოაღწიშნული განცხადება გააკეთა იმ ფაქტზე დაყრდნობით, რომ საქართველოს აქვს უზარმაზარი დავალიანება – 100 მილიონი აშშ დოლარი – ისრაელელი ბიზნესმენების რონი ფუქსისა და ზევ ფრენკელის მიმართ და იგივე ოდენობის ვალი კომპანიისა „ელბიტ სისტემს“-ის მიმართ; ასევე შემოხსენებული ისრაელელი ბიზნესმენების დაპატიმრების გამო, რომლებსაც ბრალად ედებათ საქართველოს მთავრობის მალალი თანამდებობის ოფიციალური პირისთვის ქრთამის შეთავაზება.

სავაჭრო-სამრეწველო პალატის აღმასრულებელმა დირექტორმა დოვ მარონმა განაცხადა: „ისრაელმა უნდა გამოსცეს ე.წ. „თავის შეკავების გაფრთხილება“ ბიზნესმენტათვის იმ მიზნით, რომ ისინი არ ესტუმრონ და არ აწარმოონ ბიზნესი იმ ქვეყნებში, სადაც ისინი შეიძლება აღმოჩნდნენ ფინანსური და პირადი საფრთხის წინაშე“.

2009 წელს შაიფისა და ისრაელის ჩრდილო რეგიონის სავაჭრო-სამრეწველო პალატის წევრთა დელეგაცია ვიზიტით იმყოფებოდა საქართველოში, სადაც მათ გამართეს შეხვედრები ვიცე პრემიერთან, ეროვნული ბანკის თავმჯდომარესთან, სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდენტთან. შეხვედრების დროს ქართული მხარის წარმომადგენლები ცდილობდნენ დაერწმუნებინათ ისრაელის დელეგაციის წევრები საქართველოში ბიზნესის წარმოების მიმზიდველობაში – განვითარებად ქვეყანაში უამრავი შესაძლებლობებითა და უცხოელი ინვესტორებისათვის შექმნილი ხელსაყრელი ბიზნესგარემოთი. გავიდა დრო და გამოჩნდა, რომ საქართველოს ოფიციალური პირების მიერ „დახატულ სურათზე ბევრი ჩრდილოვანი ადგილებია“. საქართველო ეცადა თავი აერიდებინა საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკისრებული 100 მილიონი აშშ დოლარის გადახდას. ორ ის-

რაელელ ბიზნესმენს ბრალი დაედოთ საქართველოს მთავრობის მალალი თანამდებობის პირისათვის ქრთამის შეთავაზებაში და მრავალწლიანი პატიმრობა მიესაჯათ. შაიფის სავაჭრო სამრეწველო პალატისა და მრავალი საერთაშორისო ორგანიზაციის ძალისხმევით ისრაელელი ბიზნესმენების გათავისუფლებისათვის უშედეგო აღმოჩნდა. იმავდროულად საქართველო უარს აცხადებს კომპანია „ელბიტ სისტემს“-ისათვის (Elbit Systems) გადასახდელი 100 მილიონი აშშ დოლარის ვალის აღიარებაზე.

შაიფისა და ისრაელის ჩრდილო რეგიონის სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ ისრაელელი ბიზნესმენებისათვის გაკეთებულ გაფრთხილებაზე, საქართველოში ბიზნესის წარმოებაზე თავის შეკავებასთან დაკავშირებით, ისრაელში საქართველოს ელჩის ვახტანგ ჯაოშვილის რეაქცია საკმაოდ მშვიდი და ზომიერი იყო. ელჩმა „net“-ისათვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა: „ისრაელსა და საქართველოს შორის ურთიერთობები ნორმალური და საკმაოდ სტაბილურია; ბევრი ისრაელელი ბიზნესმენი აწარმოებს ბიზნესს საქართველოში; მრავალი ბიზნესმენი მიმართავს ისრაელში საქართველოს საელჩოს საქართველოში ბიზნესის დაწყების მიზნით.“

— აპირებს თუ არა საქართველო ვალების გადახდას ისრაელური კომპანიებისათვის?

— ეს საკითხი ამჟამად ლონდონის საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოში განიხილება. ჩვენ პატივს ვცემთ საარბიტრაჟო სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას და იმ შემთხვევაში, თუ დაგვეცისრება ამა თუ იმ ოდენობის თანხის გადახდა, ჩვენ მას, ბუნებრივია, სრულად გადავიხდით.

— ფუქსი და ფრენკელი არ ყოფილან დაპატიმრებულნი იმის გამო, რომ საქართველოს აქვს მათი ვალი?

— აბსოლუტურად არავითარი კავშირი არ არსებობს ამ ორ მოვლენას შორის. ჩვენ გაგვანია უტყუარი მტკიცებულებები იმასთან დაკავშირებით, რომ ფუქსმა და ფრენკელმა ქრთამი შესთავაზეს საქართველოს მთავრობის მალალი თანამდებობის პირს. ეს ქმედება დანაშაულად ითვლება ისრაელში, საქართველოში და ნებისმიერ ქვეყანაში. სხვათა შორის, საქართველოს სასამართლოში ახლა მიმდინარეობს ბრალდებული მხარის სარჩელის განხილვის პროცესი. ჩვენ ვალდებულნი ვართ ვიმოქმედოთ სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების შესაბამისად.

— შეიმჩნევა თუ არა ისრაელელი ბიზნესმენების ბიზნეს აქტივობის შენელება შემოაღწიშნული მოვლენების გამო?

— ჯერ-ჯერობით არ გაგვანია დაზუსტებული მონაცემები ამ საკითხთან დაკავშირებით, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ბიზნესის წარმოება ჩვეულებრივ რეჟიმში გრძელდება. ჩვენ არ უნდა ავურიოთ ერთმანეთში ბიზნესისა და კორუფციის ცნებები.

— კორუფცია ნებისმიერ ქვეყანაში განიხილება როგორც ბიზნესისათვის საბოტაჟის განევა .

— ბოლო ხანებში ჩატარებული საერთაშორისო კვლევები ცხადყოფენ, რომ უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში საქართველო კორუფციასთან ყველაზე დიდი წარმატებით მეტროპოლ ქვეყნებს შორის იმყოფება.

ამასთან ერთად, ჯაოშვილი დარწმუნებულია, რომ ახლო აღმოსავლეთში განვითარებული მოვლენები ზიანს ვერ მიაყენებს ბიზნესის წარმოებას საქართველოსა და ისრაელს შორის. „ბიზნესმენები ეძებენ სტაბილურ გარემოს ბიზნესის სანარმოებლად და ისრაელი სტაბილური ქვეყანაა. შესაბამისად მე ვერ ვხედავ ვერავითარ მიზეზს იმისთვის, რომ არ გაგრძელდეს წარმატებული ბიზნესურთიერთობები.“

შოთა რუსთაველის — ქართული პოეზიის — კვირეული ისრაელში

- 26 მაისი — გამგზავრება
 - 27 მაისი — იერუსალიმის დათვალიერება
 - 28 მაისი — რელიგიურ სინამინდეთა მონახულება
 - 29 მაისი — 12 სთ. — შეხვედრა იერუსალიმის უნივერსიტეტის პრეზიდენტთან და პროფესორ კოტე ლერნერთან. შეხვედრის თემა: საუბარი იერუსალიმის უნივერსიტეტზე, ქართველოლოგიურ მუშაობაზე, საქართველოში ებრაელთა მოსვლის საკითხებზე.
 - 17 სთ — ჯვრის მონასტერი — ქართველი და ისრაელელი პოეტები. პოეზიის საღამო ქართველი და ისრაელელი პოეტების, მწერლების გამოსვლები, ლექსები. რუსთაველს ქართულ ენაზე (ორ ნაწყვეტს „ვეფხისტყაოსნიდან“) კითხულობს მოზარდ მაყურებელთა თეატრის ყოფილი მსახიობი ნანა ბერაძე, ებრაულ ენაზე — ისრაელელი დეკლამატორი.
 - 30 მაისი — შეხვედრა იერუსალიმის ქართველ ებრაელებს.
 - 31 მაისი — თელ-ავივი, იაფო. შუადღიდან აშდოდი, პოეზიის საღამო, ქართველ პოეტთა და ისრაელში მცხოვრები საქართველოდან ასულთა პოეზიის საღამო.
 - 1 ივნისი — გამგზავრება ქ. არიელში.
 - 2 ივნისი — იუდეა-მომრონის დათვალიერება, ქართული პოეზიის დღე არიელის უნივერსიტეტში, ქართველი და ისრაელელი პოეტების შეხვედრა.
- მრგვალი მაგიდა თემაზე: „საქართველო,



რუსთაველი, ისტორია, მწერლობა“.

გამომგზავრება არიელიდან საქართველოში.

ამ მოვლენასთან დაკავშირებით თბილისში გამოიცა ორენოვანი (ივრითულ და ქართულ ენებზე) პოეტური კრებული „სულიერების ორი ქვეყანა“, აქ შესულია ისრაელელი პოეტების ლექსები ივრითულ ენაზე და მათი ქართული თარგმანი, ასევე ქართველი პოეტების ლექსები ქართულად და მათი ივრითულენოვანი თარგმანი.

შესავალი წერილები: საქართველოდან — გურამ ბათიაშვილი, ისრაელიდან — ორციონ ბართანა, რეუვენ ენოხი.

წიგნში შესულია ისრაელელი პოეტების: ხენ კლაინმანის, ითამარ იუზ-კესეტის, იონადავ კაპლუნის, იოავ ხაიკის, ორციონ ბართანას, ამირ ორის, მირონ ს. იზაკსონის, იოსებ ოზერის, კერენ ელკალი გუტის, ქართველი პოეტების: გალაკტიონ ტაბიძის, ლია სტურუას, მუხრან მაჭავარიანის, ჯანსუღ ჩარკვიანის, მაყვალა გონაშვილის, ფრიდონ ხალვაშის, თამაზ ჭილაძის, რეზო ამამუელების, ბესიკ ხარანაშლის, ტარიელ ჭანტურისა და ლექსები როგორც ქართულ, ასევე ებრაულ ენებზე.

აქვე მკითხველი გაეცნობა წიგნში შესულ პოეტთა ბიოგრაფიებს.

წიგნის რედაქტორები: მაყვალა გონაშვილი, ორციონ ბართანა, გურამ ბათიაშვილი და რეუვენ ენოხი.

ახალდებიანოსი ხონსტანბინე წერეთელი გიული ალასანია

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

როსულ და წინააღმდეგობრივ ეპოქაში უხდებოდა ცხოვრება აკადემიკოს კოტე წერეთელს. ერთი მხრივ, ეს იყო ეპოქა, რომელშიც დევნიდნენ ივანე ჯავახიშვილს და ექვთიმე თაყაიშვილს, მეორე მხრივ, ეს იყო ეპოქა, რომელშიც ფეთქავდა და არსებობას განაგრძობდა საუკუნეებში გამოტარებული ნაციონალიზმი, ყველა კანონის საწინააღმდეგოდ, დასმენების, რეპრესიების, გადასახლებების და დახვრეტების მიუხედავად. საზოგადოებაში ჩნდებოდა სახეები და სახელები, რომელზედაც იდგა და დღესაც დგას ერი, რომელზედაც იდგა და დღესაც დგას ჩვენი კულტურა და მეცნიერება. ერთ-ერთი ასეთი სახელია კოტე წერეთელი, რომელსაც დღეს 90 წელი შეუსრულდებოდა.

დიდი ადამიანის სიცოცხლე ძვირფას ნივთს ჰგავს, რომელსაც სიცოცხლის მანძილზე ბევრჯერ უზრუნდები და მუდამ ახლებურად კითხულობ. არაერთხელ დავბრუნებოვართ და დავუბრუნდებით მომავალში ბატონი კოტეს ცხოვრებას და საქმიანობას და სხვადასხვა გადასახედიდან განსხვავებულ კონტექსტში სხვადასხვაგვარად დავიხსნავთ.

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე კონსტანტინე წერეთელი დაიბადა 1921 წელს თბილისში და აქვე განვლო გრძელი და საინტერესო გზა.

პროფესორებს, რომლებიც ჩემს თაობას ლექციებს უკითხავდნენ, ბევრი რამ აერთიანებდათ და ამსგავსებდათ ერთმანეთს. მსგავსება, პირველ რიგში, ალბათ, ის იყო, რომ ისინი სრულიად არ ჰგავდნენ ერთმანეთს მათი განუმეორებელი ინდივიდუალობის გამო. თითოეული იყო პიროვნება, თავისი გამოკვეთილი თვისებებით, პიროვნული მომხიბვლელით. ასეთი განუმეორებელი პიროვნება იყო ბ-ნი კოტე, თავისი არისტოკრატიზმით, არტისტიზმით, მუდამ ელევანტურობით, სიცოცხლის უსაზღვრო სიყვარულით და დახვეწილი იუმორით, პიროვნება, რომელმაც წარუშლელი კვალი დატოვა არა მარტო ქართულ მეცნიერებაში, არამედ მსოფლიო ორიენტალისტიკაში, ადამიანი, რომელთან თბილი ურთიერთობა ჩვენ ყველას კარგად გვახსოვს.

კიდევ ერთი, რაც ჩვენს პროფესორებს გამოარჩევდათ, ეს იყო მათი ღრმა განსწავლულობა, ფართო განათლება, რაც მათ იმთავითვე სწორი არჩევანის შესაძლებლობას აძლევდა და ამასთანავე, არჩეულ საკვლევ სფეროში ფართო თვალსაწიერს უწყალიბებდა.

ბ-ნი კონსტანტინე წერეთლის მეცნიერული შემოქმედება დიდი დიპლომატიის გამოიჩინა. იგი იყო ფართო პროფილის ენათმეცნიერი და ორიენტალისტი, რასაც საშუალო სკოლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ საფუძველი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიღებულმა განათლებამ ჩაუყარა (კავკასიურ-ალმოსავლურ ენათა განხრით). კავკასიურ და აღმოსავლურ ენათა განყოფილებაზე სწავლის დროს მან მოისმინა როგორც იბერიულ-კავკასიური (ქართული, ჭანურ-მეგრული, სვანური, აფხაზური, ხუნძური), ასევე აღმოსავლური (ძველი სპარსული, თურქული, არაბული), ძველი ბერძნული, ლათინური, ძველი სომხური ენის კურსები. 1946 და 1959 წლებში მან დაიცვა საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები. 1959 წელს უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ მას პროფესორის წოდება მიანიჭა. 1974 წელს კოტე წერეთელი არჩეულ იქნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, 1988 წელს - მის ნამდვილ წევრად, ხოლო 1993, 1997 წლებში ამავე აკადემიის პრეზიდიუმის წევრად.

საბჭოთა კავშირში დამკვიდრებული მცდარი გამოცდილების საპირისპიროდ, რომელიც თიშავდა მეცნიერულ კვლევას სწავლების პროცესისგან, კონსტანტინე წერეთელმა იმთავითვე გააცნობიერა ის მარტივი ჭეშმარიტება, რომ მეცნიერის ერთ-ერთი ძირითადი დანიშნულება სწავლებაა, მომდევნო თაობებისთვის გამოცდილების გაზიარება. მიუხედავად იმისა, რომ მან ასპირანტურის კურსი სემიტოლოგიის სპეციალობით გაიარა მეცნიერებათა აკადემიაში, 1944 წლიდან გარდაცვალებამდე ის სამეცნიერო კვლევას მუდამ პედაგოგიურ საქმიანობას უხამებდა. 1944 წლიდან ახალგაზრდა კოტე წერეთელი, მისი ხელმძღვანელის გიორგი წერეთლის რჩევით, კითხულობდა კურსს თანამედროვე ასურულში, რაც

მსოფლიო საუნივერსიტეტო პრაქტიკაში თანამედროვე არამეული დიალექტიკის სალექციო კურსის შემოღების პირველი შემთხვევა იყო, ხოლო სხვადასხვა დროს კითხულობდა კურსებს არაბულში, ებრაულში, არამეულში, სემიტურ ენათა შესწავლის შესავალსა და შედარებით გრამატიკაში ძირითად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. დიდი ხნის მანძილზე იყო სულხან საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა კათედრის პროფესორი, რომლის საპატიო პროფესორადაც იქნა არჩეული 1991 წელს. ამასთანავე ლექციებს კითხულობდა თბილისის აზიისა და აფრიკის ინსტიტუტშიც. მოგვიანებით ბ-ნი კოტე იტყვის: „ახალგაზრდებთან ურთიერთობა ჩემი ცხოვრების მიზანს ქმნის“. ის მუდამ გარშემორტყმული იყო ახალგაზრდებით, ყურადღებით ადევნებდა თვალს თითოეულის წარმატებას. იგი არაერთი ქართველი და უცხოელი ახალგაზრდის ხელმძღვანელი და გულისხმიერი აღმზრდელი იყო. მისი ურთიერთობა სტუდენტებთან სცდებოდა ფორმალურ ჩარჩოებს, ხოლო ბ-ნი კოტეს და ქ-ნ ლეილას ოჯახი ის თბილი და სტუმართმოყვარე სახლი იყო, რომლის კარი სტუდენტებისათვის მუდამ ღია იყო. ამასთანავე, ისევე როგორც ჩვენი სხვა მასწავლებლები, ბ-ნი კოტე ყურადღებას აქცევდა მორალურ მხარეს ურთიერთობებში. იქნებოდა ეს უნივერსიტეტსა თუ სამეცნიერო დაწესებულებაში, ურთიერთობები ახალგაზრდებსა და ხელმძღვანელებს შორის უნდა ყოფილიყო დამყარებული კოლეგიალობაზე, პატივისცემაზე და ნდობაზე, მაგრამ ყოველგვარი ფაბრიკარობის გარეშე. ბ-ნი კოტეს უზომოდ უყვარდა ადამიანები, მათთან ურთიერთობა და ალბათ ამის გამოც უსაზღვროდ მიმტეხვებელი იყო, მაგრამ, ჩემი დაკვირვებით, ერთადერთი, რასაც ის ძნელად აპატიებდა ადამიანს, ეს იყო მონაფის ღალატი მასწავლებლის მიმართ. პედაგოგებისა და კოლეგებისადმი ერთგულების მაგალითს ის თვითონ იძლეოდა. ბ-ნი კოტე მუდამ აქტიურად ეხმარებოდა ორიენტალისტიკის მნიშვნელოვან მოვლენებს. მის შემოქმედებაში დიდი ადგილი ეთმობა რეცენზიებს დარგში გამოცემულ ნაშრომებზე, თავისი კოლეგების და მეგობრების შემოქმედების შეფასებას და დაფასებას — ალექსი ლეკიაშვილის, რომელთან ერთადაც ის როგორც სკოლაში, ასევე უნივერსიტეტში სწავლობდა, ლადო ახვლედიანის, ასევე თანაკურსელის მზია ანდრონიკაშვილის, ნისან ბაბალიკაშვილის, აბონ ციციანიშვილის, სხვების და განსაკუთრებით პედაგოგების — გიორგი წერეთლის, აკაკი შანიძის, სერგი ჯიქიასი. „მასწავლებლის შრომა აუნაზღაურებელია“, — მიაჩნდა მას და საკუთარი მაგალითით ასწავლიდა თავის სტუდენტებს, თუ რას ნიშნავს მეცნიერებობითობა მეცნიერებაში და როგორ უნდა აღმზრდელის დაფასება. აღსანიშნავია ბ-ნი კოტეს გამოხმაურება სირიელი პოეტის ოსმან ნიზარ ხალილისეული „ვეფხისტყაოსნის“ არაბულ თარგმანზე (1980), ზორის გაპონოვის მიერ „ვეფხისტყაოსნის“ ებრაულ თარგმანზე (1989); ებრაული ბიბლიის ქართულ თარგმანზე აბრამ მაშისთავალოვის, გერმონ ბენ-ორენის (ნიწუამვილის) და თამარ კეზერაშვილის მიერ (1991).

ჩვენი პედაგოგების კიდევ ერთი გამოჩენილი თვისება იყო დიდი პასუხისმგებლობა, რომლითაც ისინი უდგებოდნენ მეცნიერებას. ეს სხვადასხვა ფორმით ვლინდებოდა, ისინი ხშირად არა მარტო მეცნიერები, არამედ მეცნიერების ორგანიზატორებიც და პოპულარიზატორებიც იყვნენ. ბ-ნი კოტე ხშირად იყო თანამდებობებზე, რაც მას უადვილებდა დარგის წარმართვას და ორგანიზებას. 1964-65 წლებში იგი იყო აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის დეკანი, ხოლო 1977 წლიდან სემიტოლოგიის კათედრის გამგე. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დაარსების დღიდან (1960) იყო ინსტიტუტის სემიტოლოგიის განყოფილების გამგე, 1991 წელს კი იგი დაინიშნა მის მიერ დაარსებული ებრაულ-არამეული ფილოლოგიის კათედრის გამგედ.

კიდევ ერთი, რითიც ჩვენი პედაგოგები ერთმანეთს ჰგავდნენ, იყო ის, რომ მიუხედავად იმისა, რომ მათ ჩაკეტილ სივრცეში უხდებოდათ მოღვაწეობა, მათი საქმიანობა და მეცნიერული შემოქმედება არ იყო კარჩაკეტილი. ისინი არა მარტო კარგად იცნობდნენ მსოფლიო მიღწევებს, არამედ ხშირად თვითონ იყვნენ სხვადასხვა დარგის ფუძემდებლები მსოფლიოში და სხვადასხვა ინიციატივის ნამომწეები. ბ-ნი კოტეს 314 ნაშრომი, რომელთა შორის არის

მონოგრაფიები და სახელმძღვანელოები, გამოქვეყნებულია ქართულ, რუსულ, ინგლისურ, გერმანულ, იტალიურ, არაბულ, ებრაულ, ფინურ და სხვა ენებზე. აქ საგანგებოდ უნდა გამოიყოს „ასურული ენა“ (მოსკოვი, 1964), რომელიც სულ ხუთ ენაზე გამოქვეყნდა — ქართულად, რუსულად, იტალიურად, გერმანულად, ინგლისურად. უკანასკნელი სამი ენაპოლში, ლაიფციგსა და მოსკოვში. ნაშრომი, აკადემიკოს მიხეილ ბოგოლიუბოვის აზრით, „მეძღვება მიეკუთვნოს გრამატიკული ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშებს სემიტოლოგიისა და ენათმეცნიერების სფეროში“. მის შემოქმედებას მიეძღვნა ქართველი, რუსი, ჩეხი, გერმანელი, პოლონელი, არაბი, იტალიელი, უნგრელი, ებრაელი მეცნიერების პუბლიკაციები.

კონსტანტინე წერეთლის მრავალმხრივი სამეცნიერო მოღვაწეობის ღირსი არამეისტიკა და ებრაისტიკა იყო. დღეს არამეული დიალექტოლოგიის კვლევა წარმატებით მიმდინარეობს გერმანიასა და იტალიაში, აშშ-სა და ისრაელში, იაპონიასა და ინგლისში, მაგრამ ბ-ნი კოტე სამართლიანად ითვლება არამეული დიალექტოლოგიის ფუძემდებლად. განუზომელია მისი წვლილი ძველი და ახალი არამეული კვლევის საქმეში. ნაშრომებმა „ნარკვევები თანამედროვე ასურული დიალექტების შედარებითი ფონეტიკისა“ (1958), თანამედროვე ასურული ენის ქრესტომათია ლექსიკონითურთ (ასურულ-ქართული, 1958), უკვე ნახსენები „ასურული ენა“ (რუსულ ენაზე მოსკოვში გამოცემული - 1964) და მოგვიანებით სხვადასხვა ენაზე თარგმნილი გამოქვეყნებული „თანამედროვე ასურული ენა“, „მასალები არამეული დიალექტოლოგიისთვის“ (რუსულ ენაზე, 1965, ტ. 1, ურმიის დიალექტი), „თანამედროვე ასურული ენის გრამატიკა“ (1968) სხვადასხვა ქვეყნებში მოღვაწე აღმოსავლეთმცოდნეების ყურადღება მიიქცია და მაღალი შეფასება დაიმსახურა — იოჰანეს ფრიდრიხის (გერმანია), ფრანც ალტჰაიმის (გერმანია), დევიდ ლენგის (ბრიტანეთი), კარელ პეტრანეკის (ჩეხეთი), სტანისლავ სეგერტის (აშშ) და სხვ. დავიმონებ ზოგიერთს. დავიდ ლენგი წერდა: „პროფესორმა წერეთელმა თავისი ფუძემდებელი გამოკვლევებით თანამედროვე არამეული დიალექტების შესახებ მსოფლიო რეპუტაცია მოიპოვა“. ჩემი სემიტოლოგიის კარელ პეტრანეკის აზრით, „კონსტანტინე წერეთელი მიეკუთვნება უმნიშვნელოვანეს ლინგვისტებს ახალარამეულ დარგში, როგორც ამას მისი მრავალი შრომა ცხადყოფს“, ხოლო აშშ-ს პროფესორი სტანისლავ სეგერტი მიიჩნევს, რომ კ. წერეთლის შრომა „თანამედროვე ასურული ენა“ იძლევა საიმედო საფუძველს შემდგომი მუშაობისთვის. იმას, რომ აკად. კონსტანტინე წერეთლის სახელი ვაცდა საქართველოს ფარგლებს და საერთაშორისო აღიარება მოიპოვა, მეტყველებს მისი არჩევა გერმანიის აღმოსავლეთმცოდნეთა სამეცნიერო საზოგადოებისა და გერმანიის აღმოსავლეთის შემსწავლელი საერთაშორისო საზოგადოების ნამდვილ წევრად (1971), ხმელთაშუა ზღვის აუზის ცივილიზაციის შემსწავლელი საერთაშორისო ასოციაციის (1975) და ამერიკის ორიენტალისტიკის საზოგადოების საპატიო წევრად (1978). მას მიღებული ჰქონდა ჰელსინკის უნივერსიტეტის მედალი (1979), ისრაელის მეცნიერებათა აკადემიის ალბერტ აინშტაინის მედალი (1999). მას არაერთი საღამო მიეძღვნა არა მარტო საქართველოში, არამედ უცხოეთშიც. 1993 წელს ტურინში გამოვიდა კ. წერეთლისადმი მიძღვნილი კრებული, რომელსაც ლათინური სახელწოდების ქვემოთ ქართულად აწერია: „სემიტოლოგიური ძიებანი კონსტანტინე წერეთლის პატივსაცემად“.

კონსტანტინე წერეთელი არაერთხელ გამოსულა მსმენელების წინაშე ლექციებითა და მოხსენებებით: გერმანიაში, საფრანგეთში, ინგლისში, იტალიაში, ფინეთში, პოლონეთში, რუსეთში, ერაყში, ინდოეთში, ავსტრალიაში, ისრაელსა და იაპონიაში.

კიდევ ერთი, რაც ჩვენს პედაგოგებს აერთიანებდათ, და რაც ასევე უცნაურია იმ ეპოქისათვის, იყო ის, რომ ესენი პატრიოტები იყვნენ და ამასვე გვასწავლიდნენ ჩვენ იმ დროს, როცა თითქოს პატრიოტიზმი კარიერის გაკეთების საუკეთესო გზა არ იყო. ესეც სხვადასხვაგვარად ვლინდებოდა. ბ-ნი კოტეს შემთხვევაში ეს იყო მისი გამუდმებული ზრუნვა მომავალი თაობის აღზრდაზე და არა მარტო უნივერსიტეტებში, არამედ საშუალო სკოლებშიც, რადგან მას კარგად ჰქონდა გაცნობიერებული ის ფაქტი, რომ პიროვნების ჩამოყალიბება სწორედ სკოლაში ხდება.

მისი ინიციატივით 1977 წლიდან თბილისის ქართულ სკოლებში შემოღებულ იქნა აღმოსავლური ენების (არაბული, ებრაული, სპარსული, თურქული), ხოლო 1994 წლიდან ებრაულის სწავლება. 1994 წლიდან ბ-ნი კოტე დაინიშნა საქართველოს განათლების სამინისტროსთან არსებული აღმოსავლური ენების სწავლების კოორდინაციის ცენტრის ხელმძღვანელად.

აკადემიკოსი კონსტანტინე წერეთელი არ ეკუთვნოდა იმ პიროვნებათა რიცხვს, რომლებმაც სიცოცხლეში ვერ პოვეს სათანადო აღიარება. მის სახელთან ჯილდოების ვრცელი სიაა დაკავშირებული: უკვე ნახსენების გარდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამი პირველი ხარისხის სამეცნიერო პრემია; ივ. ჯავახიშვილის მედალი (1978), ივ. ჯავახიშვილის პრემია (1980), საპატიო ნიშნის ორდენი (1981), შრომის ვეტერანის მედალი (1987), აკად. გ. წერეთლის პრემია (1989); ღირსების ორდენი (1996), სახელმწიფო პრემია (1998), თბილისის საპატიო მოქალაქის ნოდება (1999).

კიდევ ერთი, რაც მე მასხენდება ჩვენი მასწავლებლების გამოცდილებიდან ის იყო, რომ ისინი არ გაუბრუნდნენ შავ სამუშაოს, და ყველანაირ მასალას თავისი ფუნდამენტური ნაშრომებისთვის თვითონვე მოიპოვებდნენ. ამ მხრივ სამაგალითო იყო ბ-ნი კოტეს მუშაობის სტილი. არამეული დიალექტიკის შესწავლა ასპირანტმა კოტე წერეთელმა საქართველოში მცხოვრები ასურელების ენაზე დაკვირვებით დაინსო, მცხეთის რ-ნის, სოფ. ქანდაში, სადაც არამეული ენის ურმიის დიალექტზე კრებდა მასალებს, რასაც მოგვიანებით ირანის აზერბაიჯანიდან და თურქეთიდან ლტოლვილი ასურული მოსახლეობის მის მიერ შეგროვილი ენობრივი მასალაც დაემატა. 1963 წელს მან გამოაქვეყნა ვანის დიალექტზე შედგენილი ტექსტების ნიმუშები, რომელზედაც ლაპარაკობენ საქართველოში თურქეთის ვილაიეთიდან გადმოსახლებული ასურელები, ხოლო 1976 წელს კ. წერეთელმა გამოაქვეყნა აგრეთვე თანამედროვე ასურული ენის სალმასის დიალექტების ტექსტების ნიმუშები (ირანიდან გადმოსახლებულ ასურელთა ენაზე დაკვირვების შედეგად).

1970 წელს მოსკოვში გამოვიდა კ. წერეთლის ნაშრომი „სირიული ენა“, რომელშიც 1980 წელს ავტორს ივ. ჯავახიშვილის სახ. პრემია მიენიჭა. აღნიშნულ ნაშრომში შესული ტექსტოლოგიური მასალა ხშირ შემთხვევაში მეცნიერის მიერ იყო მოპოვებული. 1975 წელს გამოვიდა კ. წერეთლის მიერ შედგენილი ასურული ზღაპრების კრებული მისივე წინასიტყვაობითა და შენიშვნებით. წლების მანძილზე დაგროვილი გამოცდილება კონსტანტინე წერეთელმა განაზოგადა 1982 წელს გამოცემულ ნაშრომში „არამეული ენა“, რომელშიც პირველად არის წარმოდგენილი ძველი და ახალი არამეული ენის ლინგვისტური მიმოხილვა. ნიგნი, რომელიც ქართულ და რუსულ ენებზე გამოქვეყნდა, ავტორმა თავისი მასწავლებლის გიორგი წერეთლის ხსოვნას მიუძღვნა. სწორედ აღნიშნული გამოკვლევა გახდა ის ნაშრომი, რომელსაც პირველად მიენიჭა საქართველოში სემიტოლოგიის


ფუძემდებლის, აკად. გიორგი წერეთლის სახელობის პრემია. ეს სახეობით კანონზომიერია, ვინაიდან კონსტანტინე წერეთელი გიორგი წერეთლის მრავალრიცხოვანი სემიტოლოგიური სკოლის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო.

დიდი ადგილი ეთმობა კ. წერეთლის შემოქმედებაში ებრაულ-არამეულ ეპიგრაფიკას. საქართველოში აღმოჩენილ არამეულ ნაწარებს მკვლევარმა არაერთი ნაშრომი უძღვნა. მათ შორის საქართველოს უძველეს ეპიგრაფიკულ ძეგლს, ძვ. წ. III (თუ II).ს, უფლისციხის ნარწერას. კ. წერეთელმა საქართველოში გავრცელებული არამეული დამწერლობის სამი ტიპი გამოავლინა: ჩრდილო-მესოპოტამიური, ფალაური და ძველი (ე.წ. სახელმწიფო) არამეული. მეცნიერის ნაშრომებში ნაჩვენებია არამეული დამწერლობის განსაკუთრებული მნიშვნელობა ქართული კულტურისათვის, მოცემულია ძეგლების პალეოგრაფიული ანალიზი, შესწავლილია ტერმინები. აღსანიშნავია გამოკვლევები არამეული და ირანული ეპიგრაფიკის „ბარ-ბაითას“ შესახებ, რაც ნიშნავს „სახლის ძეს, სახლის შვილს“ იგივე სეფე-წულს.

საქართველოში აღმოჩენილ ებრაული გრაფიკით შესრულებულ არამეულენოვან მე-5 საუკუნის ეპიტაფიაში ბ-მა კოტე წერეთელმა ამოიკითხა „ქართველის“ აღმნიშვნელი ტერმინი „გურგ“.

ბ-ნი კოტეს შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ებრაული ენის სტრუქტურას. 1944 წლიდან გარდაცვალებამდე იგი კითხულობდა ბიბლიური ებრაული ენის კურსს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, მათ შორის იმ წლებშიც, როცა საბჭოთა კავშირში ძლიერი იყო ანტისემიტური განწყობილება. მისი მრავალწლიანი გამოცდილება აისახა საუნივერსიტეტო კურსისათვის დაწერილ სახელმძღვანელოში ბიბლიის ებრაული ენა (2011), რომელიც მოიცავს გრამატიკას, ბიბლიურ ტექსტებსა და ლექსიკონს. ამასთანავე მკვლევარი საგანგებოდ სწავლობდა ქართულ-აღმოსავლურ და მათ შორის ქართულ-ებრაულ ენობრივ და კულტურულ ისტორიულ ურთიერთობებს. აღსანიშნავია მისი ნაშრომები „პარანომაზია ქართულში“ (1954), „კომპოზიტების შედგენილობისათვის ებრაულში“ (1963), „ებრაული დამწერლობა, ებრაული ენა“ (1977), „ებრაელის აღმნიშვნელი ეთნიკური ტერმინები ქართულში“ (1979), „ქართული ეთნიკური ტერმინის“ ურია-ს შესახებ (1979) „ტერმინი „ივრითის“ ხმარების შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში“ (რუსულ ენაზე, 1983), „ქართველისა“ და „საქართველოს“ აღმნიშვნელი ტერმინების შესახებ არამეულსა და ებრაულში“. (1993), „ქართველ ებრაელთა ენის საკითხისათვის“ (1994).

ებრაული ენის სტრუქტურის საკითხებს მკვლევარი შეეხო გამოკვლევებში სემიტური ენების შესახებაც.- „სემიტური ენები საბჭოთა კავშირში“ (ინგლისურად, ტოკიო, 1968), „ხშულთა სპირანტიზაციის საკითხისათვის თანამედროვე სემიტურ ენებში“ (1976, გერმანულად 1980), „ერთი სუპრასემენტური ფონემის შესახებ თანამედროვე სემიტურში“ (1976, ინგლისურად 1982), „მამაკაცისა და ქალის აღმნიშ-



ვნელი სიტყვები სემიტურში“ (1987), 2000 წელს გამოცემულ ნიგში „სემიტი ხალხების აღმნიშვნელი ეთნიკური ტერმინები ქართულში“ ავტორი შეეხო ტერმინთა გავრცელების დროს და არეს, შემოსვლის გზებს და ეტიმოლოგიას. გამოკვლევაში გამოყენებულია არა მარტო ქართული წერილობითი წყაროები, არამედ ბიბლიის ებრაული, ბერძნული, სომხური და სირიული ტექსტები.

თუ ნათქვამს დავუმატებთ იმასაც, რომ ბ-ნი კოტე, ისევე როგორც ჩვენი მასწავლებლების დიდი ნაწილი, უზადლო რედაქტორი იყო და რომ სწორედ მან დააარსა გ. წერეთლის სახ. აღმოსავლეთმცოდნეობის განყოფილების კრებული „სემიტოლოგიური ძიებანი“, რომლის ხუთი მონაკვეთი მისი რედაქტორობით გამოიცა და რომ მისი დამსახურებაა „აღმოსავლეთის და კავკასიის“ დაარსება და გამოცემა და გაიხსენებთ აგრეთვე მისივე რედაქტორობით გამოცემულ 30 ნიგნს, გვიკვირს და ვერ აგვისხნია, რა იყო ის ძალა, რამაც ამდენის გაკეთება შეაძლებინა ამ სუსტი ჯანმრთელობის ადამიანს. შეიძლება ითქვას ნიჭი, დაუოკებელი მეცნიერული ცნობის-მოყვარეობა. არაფერი ეს არ იქნება საკმარისი, თუ არ ვახსენებთ ქ-ნ ლეილას, მისი ცხოვრების მუდმივ თანამგზავრს, ადამიანს, რომელიც ცხოვრობდა და აგრძელებს ცხოვრებას ბ-ნი კოტეს ცხოვრებით. სწორედ ამ ორი ადამიანის სიცოცხლის უზომო სიყვარულმა და ოპტიმიზმმა, რომელიც არასდროს არ განელებათ, არც ყველაზე რთულ წლებში, არც იმ დარტყმის შემდეგ, რომელიც ბედმა ამ ორ ადამიანს ერთადერთი შვილის დაკარგვით დაატეხა. ყველაფრის მიუხედავად, ისინი მუდამ იმედით უყურებდნენ მომავალს, ვინაიდან, როგორც ბ-ნი კოტე აღნიშნავდა, „იმედი ღვთიური ნიჭია“.

80 წლის ბ-ნი კოტე ამბობდა: „მე დღესაც ვცდილობ ძველებური შემართებით ვიმუშაო“-ო. და არა მარტო ცდილობდა, არამედ ნათქვამს წარმატებით ახორციელებდა და სწორედ ამიტომ ჩვენი ვალია შევუწახოთ მისი შემოქმედება მომავალ თაობებს, გავსურთხილდეთ კოტე წერეთლის სახელს, ვინაიდან ის ერთ-ერთია იმ სახეთა და იმ სახელთა შორის, ვისზედაც იდგა და დგას ჩვენი კულტურა და მეცნიერება და იდგა და დგას ჩვენი ერის ღირსება.

კოტე წერეთელი ებრაელობის შესახებ:

„ისრაელის აღდგენა არის ნიშნები იმისა, თუ რა შეუძლია ხალხის იდეურ და სარწმუნოებრივ ერთიანობას.“

მე ვამაუობ, რომ ჩემი ხანგრძლივი მეცნიერული მოღვაწეობა მეგობარნი

ებრაელი ხალხის ისტორიის, მისი ენისა და ქართველ ხალხთან ურთიერთობის შესწავლას მიუძღვნენ.

1944 წელს, როდესაც ჯერ კიდევ არ არსებობდა ისრაელის სახელმწიფო და საბჭოთა კავშირში ანტიებრაული განწყობილება სუფევდა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დავიწეე ბიბლიის ებრაული ენის კურსის კითხვა და დღემდე ვრჩები მისი ერთგული მსახური.

საქართველო ბევრად ადრე გაეცნო თვით ებრაელებს, ვიდრე მათ ბრწყინვალე შემოქმედებას ბიბლიურ თხზულებებს, რომელთაც მსოფლიო ცივილიზაციის განვითარებაში განსაკუთრებული როლი შეასრულეს.

დარწმუნებული ვარ, რომ ქართულ-ებრაულ ურთიერთობას არა მარტო დიდი ისტორია აქვს, არამედ დიდი მომავალიც“.

20 მაისს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში გაიმართა გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, ებრაისტის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის კონსტანტინე (კოტე) წერეთლის დაბადების 90 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სხდომა. სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსმა თამაზ გამყრელიძემ. მოხსენებით „აკადემიკოს კონსტანტინე წერეთლის ცხოვრება და მოღვაწეობა“ გამოვიდა აღმოსავლეთმცოდნე, პროფესორი გიული ალასანიანი. მოგონებებით გამოვიდნენ: აკადემიკოსი მარიამ ლორთქიფანიძე, აკადემიის ნევრ-კორესპონდენტი აპოლონ სილაგაძე, პროფესორი დარეჯან სვანი, ებრაისტი თამარ მახარაშვილი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ზაირა დავარაშვილი, პროფესორი ოთარ ჟორდანიანი, პროფესორი გიორგი ანთელავა, აკადემიის ნევრ-კორესპონდენტი გურამ ლორთქიფანიძე, მწერალი გურამ ბათიაშვილი, პროფესორი გორჩა ჯაფარიძე. ამ დღეს გაიმართა გულწრფელი, სინანულმორეული საუბარი იმაზე, თუ რა წვლილი შეიტანა კონსტანტინე წერეთელმა ქართული სემიტოლოგიის განვითარების საქმეში, თუ როგორი იყო ამ დიდებული პიროვნებისა და მეცნიერის მიმართება ებრაულ სამყაროსთან, კიდევ ერთხელ გამოიკვეთა ებრაელი ხალხის ამ დიდებული მეგობრის, მოღვაწის პორტრეტი.

საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესის პრეზიდენტს, პატონ ბაბრიელ მირილაშვილს!

წრფელი გულითა და სულით გილოცავთ საიუბილეო თარიღს — დაბადების 50 წლის შესრულებას, მრავალი ადამიანური სიკეთე და ბედნიერება გვისურვებია თქვენთვის ოჯახურ ცხოვრებასა და საზოგადოებრივ მოღვაწეობაში!

ნახევარი საუკუნე ის ასაკია, როცა თვალს გადაავლებენ ხოლმე ადამიანის ნამოღვაწარს, აღნიშნავენ მის მიერ გამოვლილ გზაზე დატოვებულ ნიშანსვებებს და ცდილობენ განსჭვრიტონ მომავალ გზასავალზე პიროვნების პერსპექტივები. ჩვენ, ამერიკის ქართველ ებრაელებს, რომლებიც 30-კაციანი დელეგაციით ვიყავით წარმოდგენილი სემკის დამფუძნებელ ყრილობაზე, კარგად გვახსოვს იმჟამად უფროსი შვილის ძნელბედობით მშფოთვარე ჩვენი პირველი პრეზიდენტის შორსმჭვრეტელობა და ვაჟკაცური შემართება, ისიც გვახსოვს, როგორი წინდახედულობით ამოგიყენათ მხარში, როგორ გაკვალიანებდათ სარწმუნოებრივ-ეროვნული მოღვაწეობისთვის. და აი, დღეს უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ თქვენ ღირსეული მამის ღირსეული შვილი ხართ — არა მარტოდენ მშობლისა და აღმზრდელის შრომის მომფრთხილებელი და დამფასებელი, არამედ მის მიერ დანერგილი ოჯახის სინმინდისა და უანგარო ქველმოქმედების ტრადიციების გამგრძელებელიც. ამის დამადასტურებელი მრავალი ფაქტიც კარგადაა ცნობილი ფართო საზოგადოებისთვის, ახლა მათი თუნდაც უბრალო ჩამოთვლაც შორს წაგვიყვანდა. ორიოდე, მართლა აღმაფრთოვანებელი ფაქტის აღნიშვნას კი მაინც ვერ ავცდებით: უწინარეს ყოვლისა, ჯერარნახული მოვლენა ჩვენი ხალხის ცხოვრებაში: შარშან გოდების

კედელთან ქართველ ებრაელთა ათი-ათასკაციანი ჯამაათის შეკრება და ლოცვის აღვლენა ჩვენი კონგრესის პირველი პრეზიდენტის — მოშე (მიშიკო) მირილაშვილის გარდაცვალების წლისთავზე და იმავე ღონისძიებაზე სამი სეფერ-თორის შებრძანება ქოთელის სალოცავში... ასევე გლობალური გახლდათ თელ-ავივის ცენტრში ერთ-ერთი უძველესი და უმშვენიერესი სინაგოგის ფუნდამენტალური რეკონსტრუქცია და საზეიმო გახსნა ხუთი ათასი კაცის მონაწილეობით. ახლა ეს სალოცავი — „ბეთ მოშე“ — სემკ-ის დამაარსებლის, მიშიკო მირილაშვილის სახელს ატარებს. იმ დღეს ამ სალოცავში ერთდროულად 18 სეფერ-თორის შებრძანება უნიკალურ მოვლენად აღიარა ისრაელის პრესამ... ყველაზე მთავარი კი, ალბათ, მაინც ის არის, რომ კონგრესის მოღვაწეობა კარგა ხანია გასცდა ვიწრო თემობრივ ფარგლებს. ქართველი ებრაელობის საყოველთაო თანამოქმედებში სრული ინტეგრაციის შედეგად, ჩვენ ახლა მსოფლიო ებრაელობის განუყოფელ ნაწილს გვინოდებენ.

ტრადიცია გრძელდება. და გვინდა გზასავალი დაველოცოთ ჩვენს ფორუმსა და მის თავკაცს, საიუბილეოდ ვუსურვოთ მას მხნეობა, განმჭვრეტი აზრი და გაბედულება, ხელხვაკვიანობა და მრავალჟამიერ სიცოცხლე! ლეხაიმ! ამენ!

პატივისცემით ნიუ-იორკის ქართველ ებრაელთა თემის სალოცავის რაბინები, გაგაქოვა, ქალთა კომიტეტი, კულტურულ-საგანმანათლებლო გაერთიანება „თარგუთი“

დასამახსოვრებელი საღამო

ის, რაც 16 მაისს თელ-ავივში, იაფოს უძველეს მინაზე, ხმელთაშუა ზღვიდან მონაბერი ნიავის აკომპანიმენტით ხდებოდა, თავის ადგილს დაიჭერს ქართველ ებრაელთა ბიოგრაფიაში. ქრონიკორი დანერს შემდეგ: „16 მაისს იაფოში გაიხსნა პერესის მშვიდობის ცენტრი. ამავე საღამოს იქვე აღინიშნა საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესის პრეზიდენტის გაბრიელ მიხეილის ძე მირილაშვილის დაბადების 50-ე წლისთავი“. დანერს და სწორიც იქნება, ფაქტი აღნიშნულია. მაგრამ არ არის ნათქვამი მთავარი: რა გზა უნდა გაიაროს პიროვნებამ, რომ მისი სახელი, გნებავთ, სიცოცხლის საიუბილეო თარიღი დაუკავშირდეს ისეთი დიდი სახელმწიფო მოღვაწის თანამედროვე პოლიტიკურ არენაზე სერიოზული ფიგურის სახელს, როგორც გახლავთ ისრაელის პრეზიდენტი შიმონ პერესი. ე.ი. გაბრიელ მირილაშვილმა ეს გზა გაიარა, მან თავისი მოღვაწეობით მოიპოვა იმის უფლება, რომ პერესის მშვიდობის ცენტრში ჰქმნიდეს სიტუაციას, აქ ინვესტდეს უამრავ ქართველ ებრაელს, ე.ი. ქართველ ებრაელობას ხდიდეს დღევანდელი ისრაელის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების აქტიურ მონაწილედ.



პერესის მშვიდობის ცენტრის გახსნისა და გაბრიელ მირილაშვილის 50-ე წლისთავის საიუბილეო საღამოზე მხოლოდ საზეიმო განწყობილება არ სუფევდა — მეტწილად საქმიანი ვითარება იყო — ამ საქმიან ვითარებას ბადებდა იმის შეგნება თუ რა მიზანს ემსახურება პერესის მშვიდობის ცენტრი — რა მისიით შეიქმნა იგი.

მისია, ცხადია, ძალიან სერიოზულია — მშვიდობის განმტკიცება. ახლო აღმოსავლეთში, რევოლუციებით, ტერორისტული აქტებით, სისხლისღვრით გათანაგულ კუთხეში მშვიდობის განმტკიცება.

შეუძლებელია?

სკეპტიკოსებს ვერ შევეკამათებით, მაგრამ ეს შეუძლებლობა კიდევ არ ნიშნავს მიზნის ეჭვქვეშ დაყენებას. გზა სიარულმა გალიაო, უთქვამს ქართველ კაცს, მიზნისკენ მიმავალი კაცი მას თუ არ აღწევს, უახლოვდება მაინც და ეს მიახლოებაც კი კეთილისმყოფელ, დიდ როლს თამაშობს ახლო აღმოსავლეთის ცხოვრებაში. ამ მიზნით ჩატარდა საქველმოქმედო საღამო. ადამიანები პერესის მშვიდობის ფონდს სწირავდნენ სოლიდურ თანხას. საბოლოო ჯამში კი შეგროვდა ერთი მილიონი დოლარი. ამ თანხიდან მნიშვნელოვანი ნაწილი თავად იუბილარმა გაიღო. ეს კი იმას ნიშნავს, რომ პერესის მშვიდობის ფონდს აქვს მოქმედების საშუალება, მას შეუძლია დაიწყოს მუშაობა და ვისურვოთ, რომ მისი მუშაობა წარმატებით დაგვირგვინებულის.

ბოლოს კი საიუბილეო წვეულება გაიმართა. ამ წვეულებას ჰყავდა ჩინებული თამადა — იუბილარის, როგორც საზოგადო პირის, ეროვნული სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეები. სწორედ ეს თამადა წარმართავდა ამ საღამოს. ამ გარემოებამ განაპირობა ის, რომ გაბრიელ მირილაშვილს 50-ე წლისთავს ულოცავდნენ შიმონ პერესი, ბენიამინ ნეთანიაკუ, ალ. მაშკევიჩი.

საღამოს ალამაზებდნენ ისრაელელი, რუსეთიდან, აშშ-დან, საქართველოდან (მერაბ სეფაშვილი, ლელა ნურნუშია, ნინო ბადურაშვილი, ნინა წკრილაშვილი, ნინო ჩხეიძე) მონაწილე მსახიობები.

გ. მირილაშვილის საიუბილეო თარიღმა საერთაშორისო მასშტაბი შეიძინა. სტუმრები იყვნენ აშშ-დან, რუსეთიდან, საქართველოს პარლამენტიდან (პარლამენტის წევრები სამსონ ქუთათელაძე, გიორგი როინიშვილი) უკრაინიდან, ბელორუსიიდან, აზერბაიჯანიდან, ბელგიიდან და ა.შ.

აქ ნახავდით არა მხოლოდ ცნობილ მილიონერებს, მილიარდერებსაც.

სამეცნიერო კონფერენცია

იმავე დღეს დილიდანვე პერესისავე მშვიდობის ცენტრში გაიმართა სამეცნიერო კონფერენცია: „ქართველი ებრაელობა და თანამედროვე სამეცნიერო სამყარო“. კონფერენცია გამართა საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესმა. კონფერენციაზე სიტყვა წარმოთქვა სემკ-ის პრეზიდენტმა გაბრიელ მირილაშვილმა. მან ისაუბრა კონგრესის საქმიანობაზე, ქველმოქმედების არსზე, იმ პირობებზე, რაც დღეს დგას ქართველი ებრაელობის წინაშე, გარკვეულწილად შეეხო მისი გადაჭრის გზებსაც, უმთავრესად კი მიიჩნია სამეცნიერო, შემოქმედებით წრეებთან მჭიდრო კავ-

შირი. დარბაზში შეკრებილთ მან „ჩვენს ხალხს ღირსეული წარმომადგენლები უნდა“, შეჩერდა ახალგაზრდობასთან ურთიერთობის საკითხზე და კონფერენციას წარმოუდგინა სემკ-ის ახალგაზრდული კონგრესის პრეზიდენტი ისაკ ბენ ელი ელაშვილი (მოსკოვი).

კონფერენციაზე მოისმინეს შემდეგი მოხსენებები:

პროფ. **შალვა ცივიონის** „წყლის მიღება გაციებულ ჰაერის საშუალებით და ზღვის წყლის გამტკნარება ენერგეტიკული ოპოკის საშუალებით“, პროფ. **გელა ბარის** „ბოჭკო, როგორც სამყაროს მოდელი“, დოქტ. **დოდო ჩიკვაშვილის** „ზრდასრული ტვინის საიდუმლო“, **ილია როზენფელდის** „ებრაული საიტის „კოლოლამის“ პრეზენტაცია (მსოფლიო ებრაული სოციალური ქსელი)“, **დავით ბენ აბრამის** „საგანმანათლებლო საიტის „იომანიმის“ (სასკოლო საგანმანათლებლო სოციალური ქსელი) პრეზენტაცია“, **ისაკ ელაშვილის** „ახალგაზრდა ქართველ ებრაელთა ადგილი და როლი ებრაულ ცხოვრებაში“, **იოსებ ბარდანაშვილის** „ქართველი ებრაელები მუსიკალურ სამყაროში“, დოქტ. **არკადი ლევისის** „გრუნტის სიცივის გამოყენება ელექტრობის გარეშე კონდიციონერებისთვის და სამრეწველო მასშტაბში ჰაერიდან წყლის მიღება“.

შუადღისას პროფესორ **მერაბ სარელის (იზრაელაშვილის)** თავმჯდომარეობით გაიმართა მრგვალი მაგიდა. ფაქტიურად ეს გახლდათ საინტერესო საუბარი თანამედროვე მედიცინის საკითხებზე.

დამსწრეთა შეკითხვებს უპასუხეს: პროფ. **გივი ნინუაშვილმა**, დოქტ. **რობერტ ელიგერმა**, დოქტ. **ზაზა იაკობაშვილმა**, დოქტ. **დავით სარიდომ**, დოქტ. **მიხეილ პაპიაშვილმა**, დოქტ. **ზურაბ აჯიაშვილმა**, დოქტ. **რევაზ გეფენმა**.

დღის მეორე ნახევარში გაგრძელდა მოხსენების მოსმენა, რომელიც წარმოადგინეს:

დოქტ. **გერშონ ორენმა** („ფესახის აგადის“ ქართული თარგმანი, შესრულებული უილიამ (ილია) ინჯიაშვილის მიერ), პროფ. **იცხაკ დავიდმა** („თანამედროვე პოლიტიკის ფილოსოფიის საფუძვლები“), პროფ. **კოტე ლერნერმა** („პოლიტიკური სიტუაცია ანტიკური პერიოდის აღმოსავლეთში და ქართველ ებრაელთა თემის შექმნა“), პროფ. **რუბენ ენოხმა** („შენიშვნები არსებითი სახელის ბრუნებისა და მრავლობითი ფორმების შესახებ დასავლეთ საქართველოს ებრაელთა მეტყველებაში“), პროფ. **ევგენი მარკინმა** („ნეიროქსელების ტექნოლოგიის გამოყენება ბუნებრივი კატასტროფების თავიდან აცილების მიზნით“), **ირინა შიხოვამ** („ებრაული ცხოვრება დღევანდელ მოლდავეთში“), პროფ. **შალვა ნინუაშვილმა** („არონ კრიხელი — საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის პირველი დირექტორი“), პროფ. **დავით ბოთერამ** („ცივილიზაცია, როგორც სამოქალაქო საზოგადოებრიობის გენეტიკური კოდი“).

ამ დიდი ღონისძიებების სულისჩამდგმელი საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესთან ერთად ვერ-აზიის ებრაელთა მსოფლიო კონგრესი და მისი პრეზიდენტი ალექსანდრე მაშკევიჩი იყო.

რას ვპიტიხ ულობოთ ამ კვირაში? რუბრიკას უძღვება საქართველოს მთავარი რაბინი არიელ ლევინი



არიელ ლევინი

„და ელაპარაკა გამჩენი მოშეს სინაის უდაბნოში“... რაგომ სინაის უდაბნოში? აქედან გვასწავლიან ჩვენი ბრძენები, რომ თორა მივიღეთ ცეცხლში, წყალსა და უდაბნოში, რათა ვისწავლოთ, რომ ეს სამი რამ მსოფლიოში ყველასათვისაა და ის უფასოა, ასევეა თორაჲ. გვიხსნის რაბი ცელაჲ: ცეცხლი ეს ენთუშიაზმით სწავლავს, წყალი თავმდაბლობის სიმბოლოა, ის ყოველთვის თავიქვე მიედინება, უდაბნო კი სიცარიელის სიმბოლოა და მიგვანიშნებს, რომ აღამიანისათვის სულერთია საკუთარი პატივი და სიმდიდრე.

თორაში გარკვეულმა აღამიანებმა ყველა კითხვის პასუხი იცინან. ვოლოკინელი რაბი ხაიმის მოწაფეები „თიშ“-ზე (წვეულება სადილით, სიმღერებით და საუბრებით) დადიოდნენ ხასიდედ რებესთან. ერთხელ რაბი ხაიმი არ იყო, მოწაფეები რებესთან წავიდნენ და იქიდან მობრუნებულებს გზაში შეხვდნენ მასწავლებელი. მოწაფეები მას უკვებოდნენ რებეს რუახ ჰაკოლემზე (ყველაფრის განჭვრეტის, წინასწარმეტყველების ნიშნე) რებ ხაიმმა წამოიძახა: „მეც შემიძლია ასეთი რამ. აი, მაგალითად, ახლა მე ვიცი, რომ ჩემი მეუღლე კიცხავს ჩემს პაგარა ბიჭს იმისათვის, რომ ის ჩემს ადგილზე დაჯდა (თორის მიხედვით შეიღო მშობლის ადგილზე არ უნდა დაჯდეს). ადგილზე რომ მიხვალთ, შეამოწმეთ, იყო თუ არა ასე. მოწაფეებმა შეამოწმეს და მართლაც ასე იყო ყველაფერი. თორა აძლევეს რაბინებს ასეთ ძალას. ცოლ-ქმარს ბრაზილიდან ასეთი რამ შეეძინებოდა: ცოლს სურდა ისრაელში ასვლა, ქმარს კი – არა. ქმარმა განაცხადა, რომ ცოლი აჯანყდა მის წინააღმდეგ. როცა ცოლმა რაბ ულიაშევს სთხოვა რჩევა, მან სთქვა: „საიდანაა ცნობილი, რომ ქალს ისრაელში ასვლა მხოლოდ ამ მიწის ღირსების გამო?“

და მაშინ გაირკვა, რომ მხოლოდ ისრაელში შექმდო ცოლს მეუღლის მეჭვიდრეობის მიღება, ის კი უკვე საკმაოდ იყო ხანში შესული (რაბი ელიაშევს შეუძლია სიგუაციის დანახვა, მოვლენის არსის გარკვევა)

„დაითვალეთ ისრაელის შეიღოთა მთელი კრებული (მათი თავები)“ „სეუ“ – დაითვალეთ - მისი „პერუში“ განმარტებაა – აუწიეთ ყოველ მათგანს თავი... ჩამოუფერთხეთ მაგერიალური მგვერი. ბეშგი (რაბი ბაალ შემ ტოვი) გვიხსნის, რომ ებრაელები ვარსკვლავებს ჰგვანან, მხოლოდ გვეჩვენება, რომ ისინი ძალზე პაგარები არიან, რადგან მათ შეუძლიათ მიაღწიონ უდიდეს სიმაღლეებს, და მათი არსებობა ამ საზღვარში ძალზე მნიშვნელოვანია.

ერთმა 30 წლის გაბაიმ სიმხათ-თორის შემდეგ გადაწყვიტა, რომ მიდის სამსახურიდან და მაგიაღზე დადო გასაღები. ერთმა ებრაელმა გადაწყვიტა სპექტაკლის შემდეგ აეღო გასაღები, მაგრამ ის გაბაის საფარძელზე მიბმული აღმოჩნდა, ანუ გაბაის უნდოდა ეჩვენებინა, რომ მიუხედავად მისი გადაწყვეტილებისა დაგეგვებინა სამსახური, ის ამ მიცვასთან კავშირს გრძობდა და მისი (მიცვის) ჩამორთმევა შესაძლებელი იყო მხოლოდ გაბაისთან ერთად. ასევე, როცა ჩვენ ვხვდებით ამ საზღვარში ჩაფლულ ჩვეულებრივ აღამიანს, უნდა ვიცოდეთ, რომ ის მსხვილი ძაფითაა მიმაგრებული გამჩენთან. მას, ვინც ცდილობს გამჩენის ნების შესრულებას, თავად გამჩენი ეხმარება ამაში. რაბი მოშე გარგერი, კურთხეულია მისი ხსოვნა, არასოდეს აცდენდა მუსარის (ებრაული ეთიკის) გაკვეთილებს. ქვეყანა რომ გადაგრიადლებულიყო, ის მაინც მიდიოდა გაკვეთილზე. აღქორწინება რომ დააპირა, დედამისი ჩამოვიდა მასთან. სწორედ იმ დროს, როცა თვითმფრინავი უნდა ჩამოფრენილიყო, მას მუსარის გაკვეთილი ჰქონდა. რაბიმ ჰკითხა მასწავლებელს, შექმდო თუ არა გაკვეთილის გაცდენა. მასწავლებელმა უპასუხა, რომ მშობლების პატივისცემა უფრო დიდი მიცვაა და ამიტომ უნდა წასულიყო აეროპორტში. მაგრამ რაბი გამჩენს შეევედრა, გაკვეთებინა ისე, რომ ორივე მიცვის შესრულება შეძლებოდა. გაკვეთილი საღამოს შვიდ საათზე იყო, თვითმფრინავიც ამ დროს უნდა ჩამოფრენილიყო. რაბი აეროპორტში საღამოს ხუთ საათზე მივიდა და თვითმფრინავიც ამ დროს ჩამოფრინდა. პილოტმა აუხსნა, რომ ოცდაშვიდი წლის განმავლობაში პირველად მოხდა ისე, რომ უებრაელა სამხრეთის ძლიერი ქარი და თვითმფრინავი ორი საათით ადრე ჩამოფრინდა.

„ოცი წლიდან და შემთ“ სკოლის დირექტორმა რაბი მილბერშტეინს ჰკითხა ერთ-ერთ მოსწავლეზე, რომელიც სხვებთან შედარებით ორი წლით დიდი იყო, დაეგოვებინა ის იმავე კლასში, თუ გადაეყვანა წლოვანებისა და მიხედვით. რაბი მილბერშტეინმა უპასუხა, რომ ორი წელი პრობლემა არაა (მილხის დროს), თუკი საცოლე

უფროსია მის რჩეულზე. გემარაში ამის მტკიცებულებაც არსებობს: როდესაც შიმონ ჰაყალი გარდაიცვალა, მას საკუთარი შვილი ხონიო სურდა შემეცვლელად და ასეთი ანდერძიც დაგოვა. მაგრამ მის ძმას შიმის, რომელიც ორწლინახევრით უფროსი იყო, შემურდა ძმის. რაგომ გვაგვობინებს გემარა ასე უსკად ორწლინახევარს და არა ორ წელს? რა მნიშვნელობა აქვს ამას? იმისათვის, რომ გავგვებინონ, რომ ასაკში ორი წლის განსხვავება ერთი და იგივე ასაკია, ხოლო ორწელიწადნახევარი - უკვე სხვა ასაკია. შილხის, მაგნილობის დროს, საჭიროა ვიცოდეთ, რომ შეუძლებელია გამჩენისაგან გაქცევა. სკაიპლერის რებე გვიყვება, რომ უკვე გარიგებული საქმე საქმრომ ჩაშალა. შემდეგ მან სხვა მოიყვანა, საცოლე სხვამე გათხოვდა. ვაჟს ამ ქორწინებიდან შვილები არ შეუქმინა და ცოლს გაშორდა. ქალმა რვა შვილი გააჩინა, მაგრამ მეუღლე დაეღუპა და ისინი მხოლოდ ამის შემდეგ შეუღლდნენ. მაშინ კი სთქვა ვაჟმა, თავის დროზე უარი ვთქვი, ახლა კი ის სხვის რვა ერთად შევიერთო.

და სთქვა მოშემ გამჩენის წინაშე: „საიდან მეცოდინება, რამდენი ჩვილია თითოეულ კარავში. გამჩენმა უპასუხა: „შენ შენი გააკეთე და მე ჩემსას ვიქმ“. (რაბი მილბერი, კურთხეულია ცადვის ხსოვნა). წავილოდა მოშე და დაგვებოდა კარვის შესასვლელთან, გაისმოდა ხმა მეციდან და ამბობდა, რამდენი ჩვილი იყო კარავში. (რაში).

ეს უდიდესი წესია. გამჩენი აღამიანისაგან არ ითხოვს იმას, რაც მის შესაძლებლობებს აღემატება. „შენ გააკეთებ შენსას, მე კი – ჩემსას“ – ეს ის დაპირებაა, რომ თუ აღამიანი აკეთებს ყველაფერს მისი შესაძლებლობის ფარგლებში, გამჩენი მას უმაგებს თავისით.

მიშნაში ედუით სწავლობენ ბეით მიდრაში (განათლების სახლში) ყოფნის მნიშვნელობას. მიშნა გვიყვება ბრძენთა კამათს: ჰილელი ამბობს, რომ მიევა ფასულია (უსარგებლოა) ჰინი (ზომის ერთეული) წყლით (რომელიც უცნობი წყაროდან შეერია), ხოლო შამაი გვეუბნება – ცხრა კავი (ზომის ერთეული) წყლით. ჰალახა (კანონი) კი მიდებუღია ორი ჩვეულებრივი ებრაელისაგან, რომელთაც შამაიასა და ავგალიონისაგან ბეით მიდრაში სმენიათ - სამო ლოგი წყალი (მხედველობაში გვაქვს არა წვიმის წყალი, არამედ მასთან შერეული).

„და იცხოვრებენ და არ დაიხოცებიან“. ყოველ ებრაელს ესმის, რომ თუ მას გამჩენი არ მფარველობს ნებისმიერ საქმეში, ის ვერაფერს გააწყობს. შორეულ აფრიკაში ციხიდან მკვლელები გაიქცა. შემდეგ მან სთქვა, რომ ის რელიგიური ებრაელი, რომელიც ვიწრო ბილიზე ბიზნესით იყო დაკავებული მან მხოლოდ იმიტომ არ მოუღა, რომ მის ზურგს უკან ორი მცველი დაინახა. სინამდვილეში კი არავითარი მცველები არ ყოფილან იქ. ასე გამჩენი იხახავს მის მოსიყვარულეთ. დაე, ყველა ჩვენგანს ჰქონოდეს გამჩენის მფარველობა.

ხლდ იზანი: მე ვლოცულოზდი თქვენთვის

ისრაელის ვიცე-პრემიერი, შინაგან საქმეთა მინისტრი ელი იზაი მოსკოვს იმყოფებოდა. ვიზიტის მიზანი გახლდათ პატივის მიგება ქართველი ებრაელებისადმი. პარტია „მასის“ ლიდერსა და შინაგან საქმეთა მინისტრს რუსეთის დედაქალაქში თანახლდა თანამებრძოლი, საქართველოში დაბადებული ქსენეთის ნეერი აბრამ მიხაელი (მიხელაშვილი). სტუმრების საპატივცემოდ, მოსკოვის რესტორან „იარში“ შეიკრიბნენ მოსკოველი ბიზნესმენები, მოსკოვის ქართველ ებრაელთა თემის ღირსეული მოღვაწენი. ბანკეტს ესწრებოდა რუსეთის ორივე მთავარი რაბინი ადოლფ შავეიჩი და ბერლ ლაზარი, ისრაელის ელჩი რუსეთში დოლიტ გოლენდერ-დრუკერი და მოსკოვს ამ დღისთვის საგანგებოდ ჩამოფრენილი ისრაელელი მილიარდერი აბრამ ნანიკაშვილი. ელი იზაის მოსკოვში ვიზიტის მთავარმა ორგანიზატორმა მერაბ ელაშვილმა თავის სიტყვაში თქვა: — ელი იზაი დადებითად გამოეხმაურა ჩვენი თემის მოწვევას, ეს მეტყველებს იმაზე, რომ იგი ძალიან აფასებს რუსეთის დიასპორის კავშირს ისრაელთან. თავად ისრაელის შინაგან საქმეთა მინისტრმა — ელი იზაიმ დამსწრეთ მოახსენა, რომ იგი ჯერ კიდევ მოზარდი, იემიბაში სწავლისას კვირაში სამჯერ ლოცულობდა საბჭოთა ებრაელობის ისრაელში რეპატრაციისთვის.



ოზამას გამოსვლა ახლო აღმოსავლეთის თემაზე

19 მაისს, საღამოს, აშშ-ს პრეზიდენტი ბარაკ ობამა სახელმწიფო დეპარტამენტის ტრიბუნიდან პროგრამული სიტყვით გამოვიდა, რომელშიც ისრაელ-პალესტინის კონფლიქტსაც შეეხო და განაცხადა, რომ ისრაელის იზოლაცია და პალესტინის დამოუკიდებლობის სიმბოლური აღიარება, რომელიც სექტემბრისთვის იგეგმება, პალესტინელებს სიცოცხლისუნარიანი სახელმწიფოს შექმნაში ვერ დაეხმარება. მისი თქმით, პალესტინელებმა უნდა შეწყვიტონ ისრაელის დელეგატიმიზაცია, რომელიც კრახით დასრულდება. ობამამ დაადასტურა, ამერიკის ვალდებულებები ებრაული სახელმწიფოს უსაფრთხოებაზე და განაცხადა, რომ „ფათხისა“ და „ჰამასის“ გაერთიანება, სერიოზულ ეჭვს უღვივებს ისრაელს, რადგან ვალდებუღია დაიცვას თავისი მოქალაქეები. ოზამას აზრით, ისრაელი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ ყველა მის პრობლემას ვაშინგტონი გაგებით მოეკიდება. ისრაელის საზღვრები კი ურთიერთკომპენსაციის ხარჯზე მცირედი ცვლილებებით, 1967 წლის საზღვრებზე უნდა გადიოდეს. აშშ-ს პრეზიდენტმა განაცხადა, რომ პალესტინის სახელმწიფო დემილიტარიზებული უნდა იყოს და მხოლოდ საკუთარი უსაფრთხოების სამსახურები უნდა გააჩნდეს. მაშინ, როდესაც ისრაელი ვალდებუღია თავისი საზღვრების გაცილებით ეფექტური დაცვით, იარაღის კონტრაბანდა აღკვეთოს და მზად იყოს ტერორიზმის აღსაკვეთადაც. დასასრულს, ბარაკ ობამამ კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ აშშ-სა და ისრაელს ჭეშმარიტი მეგობრობა აკავშირებთ, რომელიც საერთო ფასეულობებს ეფუძნება. მან გამოთქვა რწმენა, რომ როგორც ებრაელი, ისე პალესტინელი ხალხი, მშვიდობის მისაღწევად მაქსიმალურ ძალისხმევას გაიღებენ, რადგან მშვიდობის მიღწევა მათ გარდა, სხვას არავის ძალუღს.

ქართულ-ებრაული სასაუბრო

ისრაელში გამოიცა ებრაულ-ქართული სასაუბრო. სასაუბრო შეადგინა ჟურნალისტი და ივრითის პედაგოგმა ცისანა შამირმა (ბინიაშვილმა).

სასაუბრო შედგება სხვადასხვა განყოფილებისგან, მოიცავს ცხოვრების მრავალ სფეროს. მეტწილად განკუთვნილია ქართულის არმცოდნე ებრაულენოვანი ადამიანებისთვის, ამდენად დიდ სამსახურს გაუწევს საქართველოში ჩამოსულ ტურისტებს, ბიზნესმენებს და სხვათ, თუმცა, იმათაც დაეხმარება, ვინც ებრაულად კითხვას ახერხებს, მაგრამ ენა არ იცის.

საქართველოს ებრაელთა საქველმოქმედო ცენტრი „ხანადი ელიაჰუ“ აცხადებს ტენდერს პროგრამისათვის „მალაზია“.

იურიდიულ პირებს, რომლებსაც აქვთ სურვილი მიიღონ მონაწილეობა ტენდერში და ფლობენ სასურსათო სუპერმარკეტების ქსელს, სადაც შედის არა უმცირესი 5 ფუნქციონირებადი მალაზიისა, შეუძლიათ გაეცნონ ტენდერის პირობებს საქველმოქმედო ცენტრის ადმინისტრაციაში მისამართზე: ქ. თბილისი, ვახტანგ VI ქ. № 30, მე-2 სართული, ადმინისტრაცია.

სასურველია, აღნიშნული სასურსათო სუპერმარკეტები განლაგებული იყოს თბილისის სხვადასხვა რაიონში, გააჩნდეთ კეთილმოწყობილი, დიდი ფართის სავაჭრო დარბაზები და აუცილებლად აღჭურვილი იყვნენ თანამედროვე კომპიუტერული სისტემით, რათა მივიღოთ ყოველი თვის ბოლოს სრული კრებსითი ანგარიში ჩვენი მომხმარებლების შენაძენზე და ასევე ინდივიდუალურად თითოეულ მომხმარებელზე.

ტენდერის პირობების გასაცნობად და მასში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა შემდეგი დოკუმენტების წარმოდგენა:

1. იურიდიული პირის წესდების ასლი;
2. სარეგისტრაციო მოწმობის ასლი;
3. იურიდიული მისამართი;
4. ორგანიზაციის ხელმძღვანელის პირადობის მოწმობის ასლი და საკონტაქტო ტელეფონი;
5. ორგანიზაციის საბანკო რეკვიზიტები;
6. ცნობა ბანკიდან იმის თაობაზე, რომ ორგანიზაციის ანგარიში მოქმედა და არ აქვს ბიუჯეტის დავალიანება.


დოკუმენტების მიღება იწარმოებს 2011 წლის 17 ივნისამდე საქველმოქმედო ცენტრის ადმინისტრაციაში.

საკონტაქტო ტელეფონი: (832)15-70-32

მეუღლე ლილი, შვილები: მერაბი, გია (ისაკი), ინგა, ეკა, მაია ოჯახებით, შვილიშვილები. სიდედრი სარა იუნ-ყებთან:

ანზორ (შალიკო) რ(ო)-კეტლიშვილის ბარდაცვალებას

მეშვიდე დღე აღინიშნა ისრაელში, აშდოდის სინაგოგაში, ოთხშაბათს, 18 მაისს და ამავე დღეს შებრძანდა სეფერთორა ანზორ (შალიკო) როკეტლიშვილის სახელზე.



ხონსაქისი, ბახ მისვას

საქვეყნოდ ცნობილი გიტარისტი თემურ ყვითელაშვილი ისრაელში რამდენიმეჯერ გამოსულა როგორც კონცერტის მონაწილე, მაგრამ სავალალოდ, სოლო კონცერტი დღემდე არ ჰქონია. და ეს მაშინ, როცა მას სოლო კონცერტი ჩატარებული აქვს არაერთი დიდი ქალაქის ცნობილ სცენაზე. ეს ნაკლოვანება ამას წინათ ისრაელელთა ინიციატივით დაიფარა — აშდოდის მუნიციპალიტეტის წევრმა — მოშე ბოთერაშვილმა და ირმა ცურმა შესაძლებელი გახადეს ის, რომ თემურ ყვითელაშვილს ისრაელში სოლო კონცერტი ჩატარებინა.



ეს კონცერტი 17 მაისს ამ ქალაქის „აუდიტორიუმში“ გაიმართა, მაგრამ დარბაზში მხოლოდ აშდოდელები როდი ისხდნენ: კონცერტისთვის ქართველი ებრაელები ჩამოვიდნენ იერუსალიმიდან, ხულონიდან, ბათ-იამიდან და სხვა ქალაქებიდან.

თემურ ყვითელაშვილმა კონცერტზე შეასრულა თბილისელი მსმენელისთვის კარგად ნაცნობი მუსიკალური ბრენდები. ყოველი ნომრის შესრულებას თან სდევდა მყურებლის აღფრთოვანება, განსაკუთრებულ გულთბილ ატმოსფეროში მიიღეს 13 წლის თემურ ყვითელაშვილი-უმცროსი, რომლის შესრულებამაც მყურებელს წამოაძახებინა „ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასა“.

მუსიკოსმა კონცერტი მისთვის (მსმენელისთვისაც!) საყვარელი „ყვავილების ქვეყნით“ დაასრულა. მანამდე კი ი. ბარდანაშვილის საგანგებოდ მისთვის დაწერილი ნაწარმოებები შეასრულა.

კონცერტის შემდეგ თ. ყვითელაშვილს გულთბილი სიტყვებით მიმართეს და სამახსოვრო საჩუქრები გადასცეს მოშე ბოთერაშვილმა, იოსებ

ბარდანაშვილმა და რომან ზაკმა (ნიუ-იორკი). თ. ყვითელაშვილის ისრაელურ კონცერტს ერთი მეტად სასიამოვნო თარიღი დაემთხვა — მის ვაჟს 13 წელი შეუსრულდა და მუსიკოსმა გადანიშნა, ბარ მიცვა სწორედ ისრაელში, ქოთელთან გადაიხადოს.

ასეც მოხდა. ისრაელელი მეგობრების თანადგომით ეს დღესასწაული შესდგა. — ბედნიერებაა იყო ებრაელი! — ამბობს თემურ ყვითელაშვილის მეუღლე — ლანა. დღესასწაული გვიან ღამემდე გაგრძელდა. წარმატება ვუსურვოთ მამა-შვილს!

მერი აშპიკაშვილი ჟურნალისტი, იერუსალიმი

ვაშინგტონში გამგზავრების წინ ნეთანიაჰუა მოითხოვა: ბარაკ ობამა ისრაელის მიმართ აშშ-ს მიერ ნახისრი პალდაბულები გაიხსნოს

ობამას „ახლო აღმოსავლეთური გამოსვლის“ კომენტარებისას ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ბინ-იამინ ნეთანიაჰუმ განაცხადა, რომ თეთრი სახლის ადმინისტრაციისგან ელის ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას, ეს ვალდებულება კი 1967 წლის საზღვრებში ისრაელის უკან დახევას არ ითვალისწინებს. ასეთი ნაბიჯი საფრთხეს უქმნის ქვეყნის მოსახლეობას და ისრაელის დასახლებულ პუნქტებს საზღვრებს გარეთ დატოვებს.

ნეთანიაჰუმ აღნიშნა, რომ თეთრი სახლის ადმინისტრაციისგან ელის ვალდებულებას, რომელიც ისრაელს პალესტინელი დევნილების დაბრუნებას არ დააკისრებს.

პრემიერ-მინისტრმა თქვა, რომ ობამამ ისრაელისადმი ამერიკის ხელისუფლების მიერ ნაკისრი ვალდებულებები უნდა დაადასტუროს, ამ ვალდებულებებს 2004 წელს კონგრესის ორივე პალატამ დაუჭირა მხარი.

ეს ვალდებულება ისრაელს 1967 წლის საზღვრებში უკან დახევასა და იუდეასა და სამარიაში მცხოვრები მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის საზღვრებს გარეთ დატოვებას არ ავალდებულებს. და ისრაელის, როგორც ებრაული დემოკრატიული სახელმწიფოს მხარდაჭერას ითვალისწინებს. პალესტინელი ლტოლვილების მიღებას კი, პალესტინის სახელმწიფოსგან მოითხოვს და არა ისრაელისგან. პალესტინელი ლტოლვილების პრობლემის გადაჭრამდე, ისრაელის მიერ ნებისმიერი ტერიტორიის დათმობა, კონფლიქტის მოგვარებამდე მაინც ვერ მიგვიყვანს - განაცხადა ნეთანიაჰუმ.

ისრაელის პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ პალესტინელებმა ისრაელი ებრაულ სახელმწიფოდ უნდა აღიარონ. ისრაელ-პალესტინის სამშვიდობო შეთანხმებამ კი ბოლო უნდა მოუღოს ისრაელის მიმართ არსებულ პრეტენზიებს. მან ასევე აღნიშნა, რომ ისრაელის სახელმწიფოს უსაფრთხოება უპირველეს ამოცანას წარმოადგენს. ტერიტორიისა და მოსახლეობის დაცვის მიზნით, ისრაელის არმია მდინარე იორდანეს გასწვრივ უნდა დარჩესო.

დეპუტატმა ციბი ხოტოველმა (საქართველოდან ისრაელში რეპატრირებული .რედ) ბარაკ ობამას გამოსვლას „ამერიკული ფარისევლობის განსახიერება“ უწოდა, ობამა მარჯვენა ხელით ბინ ლადენს ებრძვის, მარცხენათი კი „ჰამასს“ სახელმწიფოს სთავაზობს.

პარტია „კადიმა“-ს თავმჯდომარემ ციბი ლივნიმ განაცხადა, რომ ორი სახელმწიფოს გადწყვეტილების საფუძველზე ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის მოგვარება ისრაელის სტრატეგიულ ინტერესს წარმოადგენს. მან ნეთანიაჰუს მთავრობა დაადანაშაულა იმაში, რომ პალესტინელებთან სამშვიდობო პროცესი ჩიხში მოექცა. ლივნიმ ნეთანიაჰუს მოუწოდა აშშ-ში ვიზიტისას ლიდერის თვისებები გამოავლინოს და მოლაპარაკებების აღსადგენი პირობები შეიმუშავოს.

პალესტინის ავტონომიის თავმჯდომარემ მაჰმუდ აბასმა, ბარაკ ობამას გამოსვლაზე პალესტინელების პასუხის ფორმულირების მიზნით, პალესტინის გათავისუფლების პარტიის აღმასრულებელი კომიტეტი მოიწვია.

ტერორისტული „ჰამასის“ წარმომადგენლებმა ობამას სიტყვა, საზოგადოებისთვის „თვალეში ნაცრის შეყრად“ და აშშ-ს პოლიტიკის სრულ ჩავარდნად შეაფასეს. როგორც დაჯგუფების წარმომადგენელმა სამი აბუ ზახრიმ განაცხადა, „ჰამასი პალესტინელების შიდა საქმეებში ჩარევის კატეგორიული წინააღმდეგია. საკუთარ პოზიციას კი ერთობლივი მსჯელობის შედეგად ჩამოაყალიბებს“.